# ხელშეკრულება №8

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. ბათუმი 03 იანვარი 2014 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის (II თავის, მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის) და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების 23 –ე მუხლისა II პუნქტის “ა” ქვეპუნქტის) საფუძველზე.

ერთის მხრივ **შპს “თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი”** შემდგომში ***„შემსყიდველი“*** და მეორეს მხრივ **შპს “№1 პოლიკლინიკა”** შემდგომში ***„მიმწოდებელი“*** ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი.

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს “შემსყიდველს” **ამბულატორიული მომსახურეობა ( 85100000)**

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს **400 (ოთხასი ) ლარს.**

2. გარანტია.

2.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი მისი ესქპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

3. ანგარიშსწორება.

3.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების წარდგენის შემდეგ 3 საბანკო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება **უნაღდო** ანგარიშსწორების ფორმით.

3.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

4. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

4.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

4.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5. სადაო საკითხების გადაწყვეტა.

5.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

5.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

6. გამოყენებული სამართალი.

6.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

7. დასკვნითი დებულება

7.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერილ მომენტიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“

*შპს "თამარის დასხლების საოჯახო მედიცინის ცენტრი"*
*ტბელის ქ. № 4*
*ანგარიშის №* **GE28LB0113171425290000**
*საიდენტიფიკაციო კოდი: №245412012*
*მიმღების ბანკი: სს ლიბერთი ბანკი*
*ბანკის კოდი:* LBRTGE22

დირექტორი: /თ ირემაძე/

„შემსრულებელი“

*შპს ქ.ბათუმის "№1 პოლიკლინიკა"*
*ქ. ბათუმი*
*ანგარიშის №* GE05TB7370636080100001
*საიდენტიფიკაციო კოდი: № 245426392*
*მიმღების ბანკი:სს"თიბისი ბანკი"*
*ბანკის კოდი:* TBCBGE22

დირექტორი: